# სახალხო გაზეთი

№ 343 ხუთშაბათი, 5 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 343

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სრამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. ხიტროვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

დ. ყვი...ილაში

„ხორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

---

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ...ომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 სა...ამდის. (წ.—1147—84)

---



სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური მუზეუმ! პარიზის მხატვრული პანორამა.

მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და სიმგელენი.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:

ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური ხამ ნაირი ჭირი.

ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქ. ლებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, ხინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით ზლოდინისა. (50—1338—5)

---

ტფილ. სათ.-აზნაურო საადგილ-მამულო

## ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ნედოიმკა გადაუხდელი მამულების საჯარო ვაჭრობა, რომელიც გაუსყიდველი დარჩა პირველ საჯარო ვაჭრობიდან 20, 21, 22, 23, 24 და 25 ივნისს ამა წელს,

მეორეთ და უკანასკნელად დანიშნულია

11 ივლისს 1911 წ., შუადღის 12 საათზე,

ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე.

დაწვრილებითი სია მსურველთა გასასინჯად გამოკრულია ბანკის დარბაზში. (1—1379—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც.

ხაამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დბვთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა; ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. სადღასურით. (წ.—1089—503)

---

## „ახალი კლუბი"

(ქართვ. თ.-აზნაურობის საზაფხულო თეატრი და ბაღი)

დღეს, ხამშაბათს 5 ივლისს, 1911 წ.

I

რიჩჩის სინემატოგრაფი.

II

სიმებიანი ორკესტრი, ფ. განზეს ხელმძღვანელობით.

კლუბში შესასვლელი ფასი: წევრთა რეკომენდაციით სტუმართათვის კაცებისთვის 50 კ., ქალებისა და სტუდენტებისთვის 25 კ. სეანსის დასაწყისი საღამოს 9½ საათზე. (1.1380.1)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმების გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ. ..ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—65)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. (წ.—1090—100)

---

დოქტორი მედიცინისა

## ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნის ქ., სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—1)

---

ქუთაისში

## ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.-1321—25)

---

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

---

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—52)

---

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩის კუთხე N 26. 6—89

---

ექიმი კბილისა ისიდორე ჭანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—21)

---

სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

---

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4 სახლი კაბაშვილისა

---

ექიმი გ. მუსხელიშვილი ხამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

---

აბასთუმანში

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—16)


## ადგილობრივი პრესა

გაზეთ „თემში" დაბეჭდილია წერილი ბ-ნ სიმ. ავალიანისა არ. ჯორჯაძის თხზულებათა გ მოცემის შესახებ. ბ-ნი ავალიანი, სხვათა შორის სწერს:

„ჩვენ წარსულში ბევრი პუბლიცისტები არიან: ს. მესხი, ილ. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი. მომავალი ჩვენი საზოგადოების ისტორიკოსი საუკეთესო ფურცლებს დაუთმობს მათ ქართველი საზოგადოების ისტორიის განვითარებაში.

არ. ჯორჯაძის ნაწერები, რომლის პირველი წიგნი უკვე დაიბეჭდა და მეორეს ამ მოკლე ხანში გვპირდება, სწორედ ძვირფასი მასალაა, იგი გვაძლევს საშუალებას ჩავიხედოთ ჩვენი ცხოვრების შუა გულში, იმ აწეწილ ცხოვრებაში, რომელიც წილად გვხდა ჩვენ 1905 წ. შემდეგ. პირველი ნაწილი ბ. არ. ჯორჯაძის ნაწერებისა, „ეროვნული პრობლემის გარშემო" დასტრიალებს. საჭირო არ არის განმარტება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემას საერთოდ და ჩვენ ცხოვრებაში კერძოდ არ გამოვუდგებით აქ არ. ჯორჯაძის ნაწერების განხილვას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ცხოვრების მსვლელობაზედ, ვისაც საყურადღებოდ მიაჩნია ჩვენი ცხოვრების პირ-ვარამი, იგი თვითონ წაიკითხავს წიგნს და ბევრსაც შეიძენს. ჩვენი მიზანია მხოლოდ აღვნიშნოთ, როგორც უბრალო შემატიანემ, ამ ნაწერების მნიშვნელობა. არ. ჯორჯაძეს უღვივის გულში ის ღვთაებრივი, კეთილშობილური გრძნობა, რომელიც ერთად ერთი იარაღია პუბლიცისტის, მახვილი, მოსწრებული ენა; საკითხის სრული განმარტება, დიდი საზოგადო ცოდნა, დიდი გამჭრიახობა. აი მისი უძვირფასესი თვისებანი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი პუბლიცისტიკის საუკეთესო ხანას მოგვაგონებს ბ. ჯორჯაძის ნაწერები. შესაძლებელია, არ. ჯორჯაძეს ძლიერ ბევრ საკითხში ვერ დაეთანხმო, ხშირად ძლიერ გატაცებულია იგი თავისი აზრებით, ხშირად ძლიერ სუბიექტიური ბეჭედი აზის მის ნაწერებს, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თქვენ წინ მოპირდაპირე სდგას, რომელსაც უნდა ებრძოლოთ, რომელსაც თავისი მაგარი პოზიცია აქვს, თავისი რწმენა, გულის სიღრმიდან ამონაკვნესი და მკითხველმა, მოკამათემ ეს არ უნდა დაივიწყოს. მოპირდაპირე მზად არის დიდ მეომარს წინააღუდგეს. დიდის სიამოვნებით მკითხველი უცდის მეორე ნაწილს ნაწერისას ჩვენი პუბლიცისტი-რომანტიკოსის".

მეორე წიგნი, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, უკვე მზად არის და მალე დარიგდება, უეჭველია ამნაირადვე მალე სხვა წიგნებიც დაიბეჭდება და ამით შეივსება ის ნაკლი, რომელსაც შეგნებული ქართველი მკითხველი ყოველთვისა ჰგრძნობდა ჩვენ პუბლიცისტთა სრული კრებულების უქონლობის გამო. მაგრამ მარტო არჩილ ჯორჯაძის ნაწერების გამოცემა არა კმარა. საჭიროა სხვა პუბლიცისტთა გამოცემაც. ეს კი რაოდენადმე დამოკიდებულია იმ თანაგრძნობაზე, რომლითაც მკითხველი საზოგადოება შეხვდება ამ გვარ გამოცემებს. თუ გამომცემლებმა სხვა პუბლიცისტთა ნაწერების გამოცემის დროს ისეთივე თანაგრძნობა დაინახეს მკითხველთაგან, რანაირიც არ. ჯორჯაძის თხზულებათა გამოცემის დროს, საქმე უეჭველად კარგად წავა და ქართველ პუბლიცისტთა სრულ კრებულების გამოცემა ადვილად მოხერხდება.

## ახალი ამბავი

...ისი

◆ **პანაშვიდი** კვირას, 3 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებული შიო ჩიტაძისა და ვლადიმერ ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქართველი მწერალნი, და განსვენებულთა ნათესავნი და პატივის მცემელნი.

◆ **მოუსავლობა**. სტატისტიკური კომიტეტის ცნობით, მიმდინარე წელს 17 გუბერნიაშია მოსალოდნელი პირნახულის მოუსავლობა.

◆ **ქართული კლუბი.** 2 ივლისს ოფიციალურად გაიხსნა ქართული კლუბი. კლუბის გახსნას სადღესასწაულო ელფერი ედო. დაესწრო დიდძალი ხალხი.

◆ **პორუჩიკი გლუშჩაკი**, რომელიც „დენშჩიკმა" ტყვიით დასჭრა, უკვე გარდაიცვალა.

◆ **შუამდგომლობის უარყოფა.** ნამესტნიკის მოადგილემ არ შეიწყნარა შუამდგომლობა ტფ. ქალაქის თვითმმართველობისა, რომელიც თხოულობდა სახელმწიფო და საერობო გადასახადების გვიან შეტანისათვის საკონტროლო პალატის მიერ დადებული ჯარიმის 9,320 მან. 58 კაპ. პატიებას.

◆ **ხოლერასთან ბრძოლა.** ტფ. ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს, რათა უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ დაუბრუნოს მას შარშან ხოლერასთან ბრძოლაში დახარჯული ფულის ნახევარი — 28.000 მან.

◆ **ნიფიცი ვექილი გ. ბ. გვაზავა ამჟამად ციხეშია.** უნდა მოიხადოს ის სასჯელი, რომელიც ტფ. სასამართლო პალატამ გადაუწყვიტა ჟურნალში დაბეჭდილი წერილისათვის როგორც ვიცით, პალატამ მას 1 წლის ციხე გადაუწყვიტა, ხოლო ეს სასჯელი უმაღლესად შემსუბუქებულ იქმნა 4 თვის ციხით.

◆ **ექსკურსია.** ამ დღეებში ტფილისს ესტუმრებიან ხერსონის 1 სავაჟო გიმნაზიის მოსწავლე-ექსკურსანტები.

◆ **ხოლერის** წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად დღეს კრება ექნება ქალაქის სანიტარულ აღმასრულებელ ბიუროს.

◆ **ხელოსანთა მოურავს** კ. ა. სერობიანცს ამ დღეებში რევიზია გაუკეთა სარევიზიო კომისიამ და საანგარიშო ქაღალდებში დიდი უწესობა აღმოაჩინა.

◆ **ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად** წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მიიღო შემოწირულება: გორის მაზრის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობისაგან—50 მანეთი, სიმონ ნიკოლოზის ძის საკაშვილისაგან როსტოვიდან—50 მან., იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან—25 მან.

გარდა ამისა **ილიას ფონდის** სასარგებლოდ გომის სინდიკატისაგან მიიღო—50 მან.

◆ 2 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე სახლი № 8, მცოვრებმა სარაჯიშვილის კანტორის კომისიონერმა **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რატიშვილმა** ეკატერინე პეტრეს ასულის ივანიკოვის ოთახში „ბრაუნინგის" რევოლვერით უცაბედად მძიმედ დაიჭრა მარცხენა მხარში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ჭრილობა საშიში არ არის.

◆ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალი „მოსავლის" მე-13 ნომერი, შემდეგის შინაარსით: 1, იონჯა-გულბაათიშვილის რედაქ. 2, საქონლის ჯიშის გაუმჯობესობა—ა. რუსიშვილისა, 3, ჩვენი მეხილეობის საგულისხმოდ—ი. იოსელიანისა, 4, მეფუტკრის კალენდარი—მღ. ა. ჯალიაშვილის, 5, რომელი ჯურა ვაშლია ქართლში გასაშენებელი—ს. ხეთაგურისა და სხვა.

◆ **სალიტერატურო კონკურსი.** 28 ივნისს მოხდა ჟიურის სხდომა, რომელმაც განიხილა საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსები. დაესწრნენ: 1) გრიგოლ რცხილაძე (სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის საზოგადოება). 2) ნიკოლოზ ქართველიშვილი (დრამატიული საზოგადოება). 3) სამსონ დადიანი (გაზ. „კოლხიდა"). 4) არჩილ ჯაჯანაშვილი (გაზ. „სახალხო გაზეთი"). 5) ნესტორ კალანდაძე (გაზ. „ეშმაკის მათრახი"). 6) პოლიევქტოს კალანდაძე (გაზ. „სალამური"). 7) მიხეილ წულუკიძე (გაზ. „თემი"). 8) გრიგოლ დიასამიძე (გაზ. „თემის" რედაქტორი). დანარჩენები ვერ დაესწრნენ პატივსადებ მიზეზთა გამო. ჟიურიმ ერთხმად ამოირჩია თავმჯდომარედ გრ. რცხილაძე, როგორც სიტყვა-კაზმული საზოგადოების სათავეში მყოფი და მდივნად არჩილ ჯაჯანაშვილი. ჟიურიმ სულ განიხილა 15 კონვერტი, რომელშიაც იდო თითო ლექსი. ერთის გარდა ყველა დანარჩენი ლექსი ჟიურიმ არ სცნო პრემიის ღირსად. მხოლოდ იმ ერთს მოწონებულ ლექსს მიუსაჯა მეორე ხარისხის პრემია (30 მან.) ვინაობის კონვერტები არ გახსნა ჟიურიმ. გაიხსნება საჯაროდ მხოლოდ ის კონვერტი,

რომელშიაც დაჯილდოვებული ლექსის ავტორის ვინაობა სწერია. საჯარო დაჯილდოვების დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული. დაწვრილებით ოქმსაც მაშინ წაიკითხავენ. დაწუნებული ლექსები ავტორებს შეუძლიანთ მოიკითხონ „თემის“ რედაქციაში მხოლოდ დაჯილდოვების შემდეგ.

✦ შაბათს, 9 ივნისს ტფილისიდან ბეთანიის მონასტრის დასათვალიერებლად გაემგზავრება ფეხით ექსკურსია. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ლ. ბოცვაძეს.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო **ე. გ. მამუკოვის** შედგენილი და თელავში გამოცემული ლექსები „გაზაფხულის შვენება“—ფასი 5 კაპ.

✦ **ქვრივის ნინო ქაიხოსროს ასულის ზანდუკელის ბინაზე** (სიმონოვის ქუჩა სახლი № 12) მაძებარ პოლიციას აღმოუჩენია ფარული ბანქოს სათამაშო სახლი, სადაც გამოცდილი შულლერებიც იღებდნენ თურმე მონაწილეობას. საქმის წარმოება გამომძიებელს გადაეცა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ კვირას, 3 ივლისს, შესდგა **წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის კრება**, რომელზედაც განხილულ იქმნა ალ. ყიფშიძის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქცია შესახებ საქმის მწარმოებლისა და მდივნის მოქმედებისა. გამგეობამ ინსტრუქცია შესწორებით მიიღო. გამგეობის დადგენილებით საზოგადოების ახალი საქმის მწარმოებელი **ბ. ბურჭულაძე** თან და თან გაეცნობა და ჩაიბარებს საქმეებს.

## რკინის გზები

✦ დღეს, 5 ივლისს, ტფილისს დაბრუნდება რკინის გზის მიმოსვლის უფროსი ინჟინერი **ბ. ა. ბუტენკო**, რომელიც პეტერბურგში გაემგზავრა მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა და საზამთრო მიმოსვლის წესრიგის შესამუშავებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ რკინის გზის უფროსის თანამდებობის დროებით ასრულებელმა ინჟინერმა ბ. ზურაბოვმა განკარგულება დაუგზავნა მატარებლების რევიზორებს, და სადგურების უფროსებს, რათა ფასიანი მგზავრები არ შეაწუხონ უფასო ბილეთიანმა მოსამსახურეებმა, მათ უფასო ბილეთებით მოგზაურობის ნება მხოლოდ შემდეგ მატარებლებში ეძლევათ: 1) ტფილისსა და ბორჯომს შუა: მატ. №№ 7, 9, 77 და 77-ა. ბორჯომიდან: №№ 8, 10, 76 და 76-ა. 2) შორაპანსა და ქუთაისს შუა: №№ 27/28 და 29/30; 3) სამტრედია ქუთაისს შუა № 26/25, 4) მიხაილოვიდან ტფილისსა და ბაქოში: №№ 3, 4, 5 და 6; 5) ტფილისიდან ერევნამდე: №№ 74/75, 78/79, 72/73 და 80/81. უფასო ბილეთიან მოსამსახურეთათვის ზემოაღნიშნულ მატარებლებს მიუბამენ ორ-ორ ვაგონს შესაფერი ზედ-წარწერით. მცხეთისა და ბორჯომის მატარებლებში, რადგანაც ბევრი ხალხია ხოლმე მოსამსახურეთაგან, მათ ნება ეძლევათ საერთო ვაგონში ჩასხდნენ, მაგრამ უეჭველად დასაჯდომი ადგილები ფასიან მგზავრებს უნდა დაუთმონ. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, უფასოდ მოგზაურობის უფლებას ჰკარგავს.

✦ **სადგ. ველბაში** ღამის სამ საათზე, 526 ვერსზე ლიანდაგის დარაჯს შეუმჩნევია თავში და ხელში მძიმედ დაშავებული გამზა-აბდულა-ოღლი. დაშავებულს უთქვამს, რომ ლიანდაგზე სიარულის დროს მინგეჩაურიდან მომავალი მატარებელი. დამეჯახაო დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## ქუთაისი

✦ **„მერკვილაძის საქმე“.** როგორც მკითხველებმა იციან, აფრასიონ მერკვილაძე, რომელსაც დასავლეთ საქართველოში საკუთარი რაზმი ჰყავდა, უკვე მოკლულ იქმნა. რაზმიდან ცოცხალი არის 32 კაცამდე, რომელთაც საბრალმდებლო ოქმები უკვე ჩააბარეს. მათი საქმე გაირჩევა მოკლე ხანში, სამხედრო სასამართლოში. დაბარებულია 212 მოწმე. დამნაშავეთ ბრალდებათ: ა) გრიგოლ მდივნის მოკვლა; ბ) მელიტონ აბაშიძის მოკვლა; გ) თავდასხმა იაგორ, ალექსანდრე და კოწია მდივნების ოჯახზე, დ) ნიკოლოზ და ტრიფონ ჰაჭიაშვილის მოკვლა; ე) გალაკტიონ ლოლაძის მოკვლა; ვ) ვარდენ და იაგორ საყვარელიძის მოკვლის განზრახვა; ზ) ჯიბო ბარათაშვილის მოკვლის განზრახვა; ც) ურიადნიკის ივანე სტეფანოვის მოკვლა; თ) რაჟდენ ჰაჭიაშვილის მოკვლის განზრახვა; ი) შორაპნის მაზრის წინამძღოლის თავ. ნესტორ ხიდირბეგიშვილის მოკვლა და გიორგი ხიდირბეგიშვილის მოკვლის განზრახვა; კ) მღვდ. გიორგი ფერაძის მოკვლა; ლ) ყვირილის ბოქაულის მახარაძის მოკვლის განზრახვა ბომბების საშუალებით; მ) შორაპნის სოფლის სამართველოს აკლება; ნ) ეფრემ შალამბერიძის მოკვლა; ჰ) მღვდლის ლენტორ წერეთლისა და გლეხის ბესარიონ ბიწაძის მოკვლა და ჟ) შეიარაღებული თავდასხმა ბოქაულ მახარაძეზე და პოლიციის სხვა მოხელეებზე.

✦ 1 ივლისს ქალაქის საბჭოს სხდომაზე დადგენილ იქმნა: ილია ჭავჭავაძის ძეგლის დასასრულებლად გადაიდვას კიდევ 100 მანეთი (ორასი მანეთი წინად იყო გადადებული).

✦ დ) პოლიციის ქუჩას, თანახმად ამ ქუჩის მცხოვრებთა განცხადებისა, დაერქვას დავით სარაჯიშვილის ქუჩა.

✦ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს ბ. სობრიევსკის განუცხადებია სადგილ-მამულო ბანკის გამგეობისათვის, რომ ხელს ვერ მოაწერს ბანკში დასაგირავებელი მამულების შეფასების ოქმებს, თუ ეს მამულები ახლად არჩეულმა დამფასებლებმა არ შეაფასეს.

✦ ბ. გუბერნატორს ორ-ორი კვირის ციხე მიუსჯია 12 კაცისთვის ქალაქში სანიტარული მოთხოვნილების შეუსრულებლობის გამო.

✦ კვირას, 3 ივლისს, ქუთაისში გამოვიდა ახალი ალმანახის „სადგისი“ს 1 ნომერი.

## ხონი

✦ საქალაქო საქმეთა საკრებულოს უყურადღებოდ დაუტოვებია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთი ჯგუფის საჩივარი შესახებ იმისა, ვითომც თავ. შერვაშიძის არჩევანი ქალაქის მოურავის თანამდებობაზე, უკანონოდ მომხდარიყოს.

## თელავი

✦ 11 ივლისს ქალაქის საკრებულოს დარბაზში: ელო ანდრონიკაშვილის, შ. დადიანის და აწყურელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის დრამა „გამხმარი ფოთოლი“.

✦ როგორც გავიგეთ, ჩვენი მცხოვანი მგოსანი აკაკი, ამ ცოტა ხანში თელავს ეწვევა.

## პროვინცია

**ჭიათურა.** გვესტუმრა ქართველი მსახიობი კ. მესხი თავის დასით და 1 ივლისს „თავის 30 წლის სცენის მოღვაწეობის აღსანიშნავად“ წარმოდგენა გამართა. წარმოდგენილი იქმნა „მილიონების კვალ და კვალ“, რომელსაც ხალხი ცოტა დაესწრო.

## უგანათლებულეს თ-დის გ. მ. შერვაშიძის წერილი

(ეს წერილი გაგზავნილია გერმანულ გაზეთის „ბერლინერ ტაგებლატ“-ის რედაქციაში მოგზაური ლორენცის წერილის გამო).

ბ. რედაქტორო!

შეიძლება ამ სტრიქონებს მიაქციოთ მართებული ყურადღება და ადგილი დაუთმოთ „ბერლინერ ტაგებლატში“, სადაც მოთავსებული იყო ბ. ლორენცის კორესპონდენცია. იმ წერილში ნათქვამია, რომ უცხო სტუმრები კავკასიაში ყოფნის დროს გაგრაში ოლდენბურგელი პრინცის მიერ სადილად ყოფილან მიწვეულნი; იმათ, თურმე, სუფრაზე მაღალი წოდების წარმომადგენელნი ემსახურებოდნენ და საქმე იმით გათავებულა, რომ მათ ბ. ლორენცისთვის პალტო მოუპარავთ; ოლდენბურგელ პრინცს თურმე თავიდანვე გაუფრთხილებია: ესენი სულ ქურდები არიანო და სხვა და სხვა.

ეს შეუწყნარებელი ზღაპარი ისეთი მოუხეშავი უმსგავსობაა, რომ ძალაუნებურად ეჭვი გებადებათ, ბ. ლორენციც მოუხეშავად, მაგრამ უხვად ხომ არ იყო დაჯილდოვებული ასეთ ცილისწამებისათვის!

შეიძლება ეს ვისმესთვის, რაიმე მოსაზრებით, საჭირო იყო!

მოხდება ხოლმე, რომ ასეთი საგაზეთო უმსგავსო რეკლამებით უნდათ ჩრდილი მიაყენონ და სახელი გაუტეხონ ნაკლებად ცნობილ ერს. ჩვენ, რასაკვირველია, შესაძლებლად მიგვაჩნია პალტო დაკარგულიყო, მაგრამ რატომ ჰგონია კორესპონდენტს, რომ ქურდობა სწორედ ამ წარჩინებულმა პირებმა ჩაიდინეს და არა ერთ-ერთმა იმ მაწანწალათაგანმა, რომლებითაც მთელი მხარე აავსეს, უთუოდ ამ „ველურ ქვეყანაში“ კულტურის გასავრცელებლად! კორესპონდენტის შეხედულობით, ჩვენ თურმე ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქაში ვიმყოფებით და დიდი დროა საჭირო ჩვენ გასანათლებლად.

ის კულტურა, რომელსაც აქ ამყარებენ ჯერ-ჯერობით მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ საუკუნოებით დამუშავებულ ადგილებს უსახლკარო ბოგანოთ აძლევენ, მაგრამ ისინი მოუხერხებლობით ვერ ეგუებიან მიდამოს და არ მდიდრდებიან, ადგილობრივნი მკვიდრნი კი იძულებულნი არიან თავი მიანებონ მშვენივრად გაშენებულ ზვრებს და ჯოგებს. ამ რიგად ადგილობრივნი მცხოვრებნი თუმცა ღატაკდებიან, მაგრამ მაინც მათ კიდევ შერჩენიათ მამა-პაპური სტუმართ-მოყვარეობა და გულ-უხვობა, რაც ვერ შეუგნია ბ. ლორენცს. ამ ჩვეულების მიხედვით მოუწადინებია პრინცსაც, მიეღო უცხო სტუმრები და ეჩვენებინა მისი თავისებურება. ამ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია, პრინცს ქურდებად გაეცნო ლორენცისათვის ისინი, ვინც თითონ მოიწვია.

შესაძლებელია ეს სამწუხარო შემთხვევა იმით აიხსნებოდეს, რომ კორესპონდენტი ერთობ ფუქსავატად და „ფელეტონურად“ შეეხო უცნობ ქვეყანას და უცნობ ხალხს; ხომ არ შეიძლებოდა უცხო ხალხის დახასიათებაში აღენიშნა მხოლოდ დიდი ქუდები, რომელთაც ბ-ნმა ლორენცმა განსაკუთრებულად მიაქცია თავისი „განათლებული“ ყურადღება. საჭირო იყო იგი შეჰხებოდა იმ ხალხის ზნე-ჩვეულებებსაც, რომელმაც მიიღო და გაუმასპინძლდა. რა უნდა ექნა! კარგის თქმისათვის მეტი ცოდნა და დაკვირვება იყო საჭირო, ავისათვის კი ყოველს უბადრუკ რეპორტიორსაც კი მოეძებნება საკმაო ფანტაზია. ამასთანავე ბ-ნს ლორენცს სურვილი აქვს ოხუნჯობისა, მაგრამ საუბედუროდ იგი ხშირად ჰრევს მახვილობას ჰორიკანაობაში, ამათ შორის კი დიდი ზღვარია.

ბ. ლორენცი ტფილისშიაც ყოფილა და არც იქაურობას მოექცა იგი უკეთესად: აქ ადამიანი და პირუტყვი ერთ დონეზე სდგანანო. ამის ღირსნი არა ვართ! ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია ამ ევროპიულ განათლებამდე, როდესაც ადამიანის წინაშე პირუტყვს უპირატესობა მიენიჭება ხოლმე. მაგალითად, ირმები უცხო წალკოტში განცხრომაში არიან და, ადამიანები კი, ერთი მტკაველ მიწასაც მოკლებულნი, მაღაროებში სამუშაოზე იხოცებიან; ცხენებისათვის უმშვენიერესი სასახლეებია აგებული, იქ მათ საუცხოვოდ ჰკვებავენ, უვლიან და ამავე დროს ადამიანებს ორი პენსის უქონლობისა გამო, ქუჩაში, ცის ქვეშ, სული ხდებათ.

საერთოდ, ცივილიზაცია უზრუნველ ჰყოფს პირუტყვებს: მონადირე ძაღლებს, იორკშირის ღორებს და სხვა.

გერმანულმა უმწვერვალესმა განათლებამ ადამიანების ნაცვლად ძაღლებიც კი გამოიყენა ქურდების მაძიებლად; სჩანს ამ უკანასკნელთაგან იქ საქმე ძლიერ გაჭირებულა—თუ ამ აზრამდე მივიდნენ.

გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ს ლორენცს ყველგან ქურდები ელანდებიან. დიაღ, ჩვენ ჩამოვრჩით განათლებას, ჩვენ არ გაგვაჩნია განათლებული და გაწვრთნილნი აშოლლანები, დახელოვნებულნი შანტაჟისტები, არც „აფრიკული მოსაქმენი“ და სხვა. და, წარმოიდგინეთ, თუმცა შეიძლება ასეთი ჩამორჩენილობა ბრინჯაოს ხანის მცხოვრებთ გვამსგავსებდეს, მაგრამ ამაზე ჩვენ არა ვწუხვართ; ჩვენი მოკლე ჭკუითა გვგონია, რომ არ არის საჭირო ჩვენს ნიადაგზე კადმოვნერგოთ ყოველივე ის უმსგავსობა და სიგლახე, რასაც ზოგნი ცივილიზაციას უწოდებენ... ვფიქრობთ—საკმარისია გამოვკრიფოთ მხოლოდ ხელიხელს საგოგმანები მარგალიტები მწერლობისა დ ხელოვნებისა; თვალყურს ვადევნებთ მეცნიერების მსვლელობას... ერთი სიტყვით, ვითვისებთ მხოლოდ იმას, რაც ჩვენი აზრით სასარგებლოა საზოგადოებისათვის და ცხოვრებისათვის.

ასე უმზაკვროდ ვცხოვრობთ ჩვენ და ბ. ლორენცი რომ უფრო დინჯად მოჰქცეოდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, იგი ყოველივე ამას და ბევრ სხვასაც გაიგებდა; იგი გაიგებდა, რომ იმ ერს, რომელსაც იგი აგრე უდიერად მოექცა, ბრწყინვალე ისტორიული წარსული აქვს- გაიგებ-

# ქართული ენა

(თანამედროვეთა ლაპარაკი და წერა *).

ესევე კანონი ზმნის მაპიროვნებელ ნიშნის ხმარებისა განსაკუთრებით უნდა დავიცვათ იმ შემთხვევაში, როცა ზმნებს წინ უზის თანდებული აღ. პირველის პირის მაპიროვნებელი ვ-ნი უნდა მოვადევნოთ ამ აღ-ს. მაგ. აღთქმა—აღვთქვამ, აღბეჭდა—აღვბეჭდავ, აღსრულება—აღვასრულებ. გარნა ამ კანონს ვარღვევთ განსაკუთრებით სახეზმნა აღსარება-ს ხმარების დროს. პირველი პირი ამ ზმნისა იქმნება აღვიარებ, მეორე—აღიარებ, მესამე—აღიარებს და სხვ. მაგ. „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მისატევებელად ცოდვათა (მრწამსი); „აღვიარებ, მამაო, უფალო ცისა და ქვეყანისაო (სახ. მათესი თავ. 11, მუხლი 25“); „აღვუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩვენი უფალსა“. ჩვენში კი ხმარობენ: ვაღვიარებ, გაღიარებ და სხვ. ე. ი. ორკეც უკანონობის ავტორად ვხდებით. ჯერ ერთი—ზმნის პირველ პირის ორ მაპიროვნებელ ნიშანსა ხმარობენ ერთსა და იმავე ზმნაში და მეორეც ისა, რომ ერთ მაპიროვნებელ ვ-ნს თანდებულის აღ-ის წინა სვამენ, რაიცა დარღვევაა ყოველივე კანონიერებისა, დამახინჯებაა ზმნისა. და ესეთი დამახინჯება ზმნისა მით უფრო შეუნდობელი ცოდვაა, რომ სწორედ ამ ზმნა აღსარება-ის გამო გაიმართა უშველებელი კამათი „ივერიის“ ფურცლებზე ამ 16 წლის წინად. ზოგნი მომხრენი იყვნენ იმისა, რომ აღ-ის წინაც დაესვათ ვ-ნი და უკანაც; სხვები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და ამბობდნენ—ვ მხოლოდ აღ-ის შემდეგ უნდაო. ლელო უკანასკნელთა გაიტანეს. ეს პოლემიკა გაკვეთილად უნდა გვქონოდა, მაგრამ თითქო ერთ ყურში შეგვეშვას და მეორიდან გამოგვეშვას, დღესაც პირწმინდათ ვიმეორებთ ამ 16 წლის წინანდელ შეცთომას. მართალი უთქვამთ,—სად გაგონება არ არის, კარქვაა სიმართლისაო.

უკანონოთვე ვხმარობთ ზმნას—უარყოფა-ს. ამ ზმნას მაპიროვნებელი ვ უნდა ჩაერთოს უარ-ის შემდეგ და ასე მიმოიხრება: უარვყოფ, უარყოფ, უარყოფს და სხ. ამის მაგივრად ვამბობთ: ვუარვყოფ, და სხ. ამნაირათვე უნდა ვიხმაროთ სხვა ამის მსგავსათვე რთული ზმნები უკუთქმა და უკუგდება. პირველი იქმნება: უკუვთქვამ, უკუთქვამ და სხ. მეორე: უკუვაგდებ, უკუაგდებ და სხ. და არა: ვუკუვთქვამ, ვუკუვაგდებ... და სხვ. და სხვ.

ვ-ის გარდა სხვა მაპიროვნებელ ნიშნებისათვისაც (მ, გ,) არსებობს კანონი უხმო ასოთა ზედი-ზედ განმეორებისა, როცა ფესო მაპიროვნებელ ნიშნის მსგავს ასოთი იწყება. მაგალითად ავილოთ ზმნა გზავნა. როდესაც მინდა გამოვთქვა აზრი, რომ ჩემ მიერ მეორე პირი იგზავნება, უნდა ვსთქვა: გგზავნი (მე შენ) და არა გზავნი. გზავნი იქმნება, ვითომ შენა გზავნიდე ვისმე. მომავალ დროშიაც ასეთივე სიმარჩობლეა საჭირო: გაგგზავნი (მე შენ), ხოლო შენ იმას გაგზავნი. ახლა ავილოთ ზმნა, რომელიც მ-ით იწყება: მსახურება. იქმნება: გმსახურებ (მე შენ), მამსახურებ (შენ მე); მეზობლობა: მმეზობლობ (შენ მე), გმეზობლობ (მე შენ); მონება: გმონებ (მე შენ), მმონებ (შენ მე), მმონებს (ის მე); მართება: მმართებს, გმართებს, მართებს (იმას) და სხ. და სხ.

ერთის ზმნის მაგიერ მეორის ხმარება და ამ სახით მათის მნიშვნელობის დამახინჯება, როგორც სხვა ბევრი უკუღმართობა, ხშირია ჩვენს მწერლობაში. მაგალ. „შაგირდები მღერას დაიწყობენ“ („სახალხ. გაზ.“). ვითომ იმღერებენ, სიმღერას შეუდგებიან შაგირდებიო. და ის კი არა, სულ სხვა აზრი გვრჩება ხელში. სახელდობრ ისა, რომ შაგირდები მღერის წესსა და რიგსა დაილაგებენ წინაო... ამიტომ რომ დაიწყობენ წარმომდგარია ზმნისაგან დაწყობა, რაიცა ნიშნავს რისამე დალაგებას წეს-რიგზე, გინა ერთმანეთზე. ხოლო ის ზმნა, რომელიც დამწერს უნდა ეხმარა, არის დაწყება ან თავიდან მოყოლება რისამე. ასე რომ ამ შემთხვევაში უნდა ეთქვა, შაგირდები მღერას დაიწყებენ-თქო, და ყველასათვის გასაგები იქმნებოდა მისის ნათქვამის აზრი. იმავე გაზეთში დაბეჭდილია ერთის ექიმის განცხადება: „იწყობს (ექიმი) სიფილისის მკურნალობას“... თითქო სიფილისის მკურნალობა (ანუ უკეთ, კურნება) განძი რამ იყოს და ექიმი ჯიბეში ილაგებდესო! უნდა ეთქვა: იწყებს და სხ.

ერთმანერთისაგან ვერ გაგვირჩევია ზმნები კარგება და კარგვა. და ვამბობთ: „წინდაწინვე დამფრთხალი ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ“. ცხადია, ავტორსა სურდა ეთქო, ყმაწვილებს შიშისაგან გონება ერთმევოდათ, უგონოთ რჩებოდენო. ხოლო ეკარგებოდათ კი იმასა ხატავს, რომ გონება ჯერ განუვითარებელი ჰქონდათ და მერე შიშისაგან უვითარდებოდათო. კარქვა (ვიკარქვი, იკარქვი, იკარქვის) უმეშვეობითი ზმნაა და ნიშნავს დღუპვას, ხოლო ეკარგებოდათ წარმომდგარია ზმნისაგან კარგება, რაიცა ნიშნავს ცუდის გადაქცევას კარგად, მის გაუკეთესებას. ასე რომ ავტორს უნდა ეთქო: „ბავშვებს გონება ეკარქებოდათ-თქო.“ აი ანდაზა, საცა ზმნა კარქვა სისწორით არის დაწერილი: „სად გაგონება არ არის, კარქვაა სიმართლისაო“.

დაბრალება და შებრალება ერთმანერთში არეულია. მაგ. „ყმა ბატონს თავს აბრალებს“. სრული უაზრობაა. აბრალებს ნიშნავს, რასმე ბრალსა სდებსო. სიბრალულის გამოწვევის გამომხატველი ზმნაა შებრალება, რომელიც უნდა ხმარებულიყო ზემო აღნიშნულ ფრასაში, და რომელსაც აწმყო და მომავალი ერთნაირი აქვს, და უნდა თქმულიყო: ყმას უნდა ბატონს თავი შეებრალოს.

ამბობენ და წერენ: მოქმედობენ, ესწრობა. გვაქვს ზმნა მოქმედება, რომლის მესამე პირი მრავლ. რიცხვისა იქმნება მოქმედებენ; გვაქვს მეორე ზმნა დასწრება, რომლის მესამე პირი, აწმყო დრო, აუთავებელი სახე იქმნება ესწრება. დასწრობა და მოქმედობა კი ქართულს ენაში არ არსებულა.

დაგვავიწყდა მნიშვნელობა ზმნისა ლტოლვა-სი. არამც თუ მნიშვნელობა დაგვავიწყდა, არამედ მისი პირვანდელი სახეცა და ლტოლვა-ს მაგიერ ვამბობთ ლტოლვილება-ს. ეს ზმნა ნიშნავს: გაქცევას, რბენას რომელისამე მხრისაკენ და მოგვიგებს კითხვებზე: რას, სად, საითკენ, რისთვის? მაგ. „ევლტოდით სიძვასა (ა. კორინთელთა თ. 6. მუხ 18)“, ე. ი. ერიდეთ სიძვასაო: ჩვენ კი ელტვიან-ს იმ აზრითა ვხმარობთ, რომ ვინმე რასმე ესწრაფვისო, და სრულიად კანონიერ თქმად მიგვაჩნია ასეთი ფრაზები: „ჩვენ ველტვით ჩვენის ქვეყნის აყვავებას“, „მოსწავლენი ელტვიან სწავლას“. ბეჩავს ასე მოლაპარაკეს თავის ჭკუაში უნდა გაგვაგებინოს, ვითომ ჩვენ ვცდილობთ ჩვენის ქვეყნის აყვავებას ან კიდევ მოსწავლენი გატაცებულნი არიან სწავლითა, დღე და ღამე წიგნებს ჩაჰკირკიტებენო. ის კი არა, საშინელი წინაუკმობა გამოდის. სახელდობრ ისა, რომ ჩვენ გაურბივართ ჩვენის ქვეყნის აღყვავებასაო და რომ მოსწავლენი კიდევ სწავლაზე გულ-აცრუებულნი არიან, ჭირივით ეჯავრებათო. ამ შემთხვევაში კი სხვა ზმნა უნდა იხმაროს კაცმა: ესწრაფვიან ან ეტანებიან. და თუ უეჭველათ ლტოლვა გვინდა, მივუმატოთ თავსართი მი (მიმართულების მაჩვენებელი) და ასე ვთქვათ: „ზაფხულობით მივილტვით ხოლმე სოფლად“, „შვილები მშობლებისაკენ მიილტვიან“, „მოსწავლენი სასწავლებლად მიილტვიან“ და სხ. აი სახარებაშიაც როგორ არის ნახმარი ეს ზმნა: „რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მივლტოდით სხუად (მათე თ. 10, მ. 23)“, ე. ი. როცა ერთ ქალაქში არ დაგაყენონ, სხვა ქალაქისაკენ გასწიეთ, წარემართეთ, გაიქეცითო.

ჩვენს ყურებს წამდაუწუმ ესმის ასეთი ფრაზები: წყალი ისმის, ღვინო ისმის... ლაპარაკისა ან გალობის შესახებ რომ უნდოდეს ვისმე თქმა, მაშინაც ისე იტყვის: „მშვენიერი გალობა ისმის“, „ხმაურობა ისმისო“. თითქო განსხვავება არავითარი იყოს ღვინოსა და გალობას შორის! მაგრამ მაშ რაღა გადაგვარება იქმნება ჩვენის სმენისა, თუ აქ უკანონობა რამ შევამჩნიეთ! რაკი უკანონობათა მორევს ერთი-და-ერთი შევათრევინეთ, იქიდან გამოსვლას აღარ ვლამით, ყოველივე ურიგობა კანონიერებად მიგვაჩნია, სიმართლის აღდგენისათვის თავს არ ვიცხელებთ... გვაქვს ზმნები: სმენა (გაგონება ხმაურობისა რისამე) და სმა (დალევა სითხისა რისამე). პირველის ზმნის ვნებითი ფორმა გაუთავებელის სახისა იქნება ისმის (მესამე პირი მხოლ. რიცხ.), და ისმიან (იგივე მესამე პირი მრავ. რიცხ.). მაგ. „აღსდეგ, გმირთ გმირო, ნუ გძინავს, ხმანი ისმიან თოფისა (ხალხური ლექსი)“. ხოლო მეორე ზმნა სმა ასე იქნება: ვნებითი ფორმა გაუთავებელის სახისა: ისმება. მაგ. წყალი ისმება (ე. ი. ილევა, კარგია დასალევათაო), წყალი გვესმება (დაგველევა).

ხშირად გვესმის: „ბუნება კაცს მამობას უწევს“, და არ კი ვთაკილობთ ასეთს უსახურს ლაპარაკს... უწევს წარმომდგარია ზმნა წევა-საგან. ხსენებულ ფრაზაში ისეთი აზრია, თითქო ბუნება კაცს გვერდზე ეწვევს... გაგონილა?! რომ გვეთქვა: „დედას შვილი აკვანში უწევსო“, ზმნაც კანონიერათ იქნებოდა ხმარებული და არავითარ ორჭოფ აზრ-

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 341.

და იმასაც რომ რ. ინდნი ქართველნი, რომელნიც ჯვაროსანთა ომებში მონაწილეობას იღებდნენ და იცავდნენ ქრისტიანობას, ამავე დროს კავკასიის კარებში იდგნენ დიდებულს სადარაჯოზე, ამოწვდილ მახვილით იცავდნენ თავიანთ სამშობლოს, ქრისტიანულს კულტურას, მოქალაქობრივ წეს წყობილებას და პირიქით არავის ქვეყანაში არ იჭრებოდნენ, სხვის ავლა-დიდებას არ იტაცებდნენ; გაიგებდა აგრეთვე, რომ ქართველთ მოუძევებაო უმდიდრესი ძველი მწერლობა, რომელიც მსოფლიო ნაწარმოებთ დაედარება; გაიგებდა, რომ ქართველთა შეფეებში სამაგალითო გმირები და ბრძენნი მმართველნიც გამოერჩევიან და სხ. და სხ. შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამ გვეთქვა, მაგრამ განა შესაძლებელია საგაზეთო წერილში გადავშალოთ ცრემლითა და სისხლით განბანილნი ოქროს ფურცლები ამ ერის ისტორიისა?!. მართალიც რომ ვსთქვათ, არც კი ღირს... ნათქვამია: „არა გაჰფანტოთ მარგალიტნი ფერხთა ქვეშე...“

**უგანათლებულესი თ-დი გ. მ. შერვაშიძე.**

# ჭიათურის ამბავი.

ჭიათურის სანიტარო კომისია დაარსდა 1901—1902 წ. 1905 წლამდე ხსენებული კომისიის მოქმედება ნელნელა ფართოვდებოდა; ხოლო 1905 წლიდან დღემდე სანიტარო კომისიის თვით მოქმედება თითქმის არსად სჩანდა, რის გამოც სანიტარულ-ჰიგიენურის მხრით ჭიათურა დიდად ჩამოქვეითდა.

დღეს ყველასათვის უტყუარს ფაქტადაა აღიარებული ის გარემოება, რომ იქ სადაც ყოველგვარ სანიტარულ-ჰიგიენური ზომები მიღებულია, მცხოვრებთა ჯან-საღობაც მაღლა სდგას და გადამდებ სენთაც ნიადაგი ეცლება. ამიტომაცაა რომ ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი საბჭოს ხირურგმა ბ-ნმა გრიგოლ მუხაძემ, მის მეოხებით 27 ივნისს საღამოს 9 საათზე, საბჭოს დარბაზში შესდგა სანიტარო კომისიის წევრთა კრება. კრებას დაესწრო ადგილობრივი მსაჯული ბ-ნი რაზმაძე, საბჭოს მოსამსახურენი ექიმი ს. ქვარიანი და ინჟინერი საბიცკი, პერსენაკი და სხვანი.

კრებას თავჯდომარეობდა ხირურგი მუხაძე. სანიტარო მზრუნველებმა გაითვალისწინა რა სანიტარ-ჰიგიენურის მხრით აწინდელი მდგომარეობა ჭიათურისა, მიიღეს საბჭოს დასამტკიცებლად დაახლოვებით შემდეგი რეზოლიუციები: ა) რადგან ჭიათურაში დღემდე სასაკლაოდ განსაკუთრებული ადგილის უქონლობამ შეუძლებელი ჰყო ოთხფეხ ცხოველთა ხორცის ავ-კარგიანობის შემოწმება, კრებამ ერთხმად მიიღო ეთხოვოს საბჭოს სასაკლაო ადგილის მოწყობა. დადგენილების სისრულეში მოყვანამდე კი აეკრძალოს ყველას ბეითალისა ან ფერშლის შეუმოწმებლად გასასყიდ ღორების შემორეკვა.

ბ) დაევალოს სანიტარო კომისიის წევრთ ზომები მიიღონ ჭიათურაში მოწანწალე ძაღლების მოსასპობად.

გ) დაევალოს სახლის პატრონებს სანაგვე ყუთები იქონიონ. ნაგვის ყუთები ყოველ დღე უნდა იცლებოდეს.

დ) ორ ალაგას საზოგადო ფეხის ადგილები ააშენონ.

ე) კვირა დღეებს ბაზარი იმართება ჭიათურისა და ახლო-მახლო მცხოვრებლებისაგან შუა ხიდთან მდ. ყვირილის მარჯვენა მხარეს და რადგან ამ მოედანს არავინ ასუფთავებს, დაავალოს მოიჯარადრეს ამ მოედნის დასუფთავება და სასყიდლად მას ჯამაგირს (100 მან), ორი მანეთი მიუმატონ.

ვ) ვინაიდან ვერავითარ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს საავადმყოფოსთან არსებული თავლა, კრებამ დაადგინა საბჭომ ახლო მომავალში ახალი თავლა ააშენოს.

ზ) ჭიათურაში ირწყებოდეს მდ. ყვირილისპირებზე მდებარე ქუჩები.

თ) საჭიროდ დაინახა კრებამ სასმელი წყლის აუზის და მილის გაფართოება, რათა უფრო მეტ მცხოვრებლებს შეეძლოთ სარგებლობა წყაროს წყლით.

ი) შეიძინონ სავაჭროდ გამოტანილი ძველი ტანთ-საცმელების სადეზინფექციო იარაღები.

ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა საქმიან და შვიდობიან კრებას ძვირად დავსწრებივართ. ხშირად ჩვენების კრებებზე პტყელ-პტყელი სიტყვით ლაპარაკობენ მხოლოდ ლაპარაკისათვის. ჭიათურაში ამდღის კრებაზე მარტო საქმიანობისაგან გამოწვეულ გულმხურვალე მოლაპარაკეთ ვუსმენდით.

29 ივნისს დილით ბ-ნ გ. მუხაძემ რამოდენიმე საინტერესო მზრუნველების თანადასწრებით ჭიათურის ბაზარი დაათვალიერა.

ვუსურვებთ სანიტარო კომისიას მოქმედება გაეფართოვებინოს და ყოველი სიტყვა საქმედ ექციოს, ხოლო ამასთანავე დარწმუნებულიცა ვართ, თუ თვით მცხოვრებთ ამ საქმეში დახმარება და თანაგრძობა არ გაუწიეს, შეუძლებელი გახდება ჭიათურის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესობა. **ჭ—ი.**

# თელავის ცხოვრება

წლის გაზაფხული მეტად გვიანი იყო, ამასთან ავდრიან-სიცივიანი, ზაფხულის დასაწყისს უცბად დაცხა, გოლვა გრძელდება, რეომიური 36—38° სიცხეს გვაჩვენებს. მთელი თელავი მტვერში გაეხვია, კარში არ გამოისვლება.

წინედ თუ ავდრის გამო იგვიანებდა ტფილისიდან მომავალი ომნიბუსები, არც ეხლა მოდის თავის დროზე. ღამის 9—10 საათზე შემოდის თელავში, ავდარში უფრო გვიან. ზამთარში როცა მიმოსვლა უფრო გაძნელებული იყო, თავის დროზე მიდი-მოდიოდნენ, მაგრამ მაშინ, ედიგაროვის გარდა, მალაკნებსაც ჰქონდათ გამართული დილიჟნები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ეხლა კი ეს უკანასკნელი ედიგაროვმა შეისყიდა და რასაკვირველია აღარაფერს დასდევს. ამას გარდა, გზის და მიმოსვლის სიდიდესთან ცხენები კ შეუფერებელი ჰყავთ, ყველა ეს მიმოსვლას აძნელებს.

მერე ეხლა—ზაფხულში, როცა თელავისკენ დაიძრა მოსწავლე ახალგაზდობა და მოაგარაკენი, ყოველ დღე 5—6 და ხან მეტი ომნიბუსი მოდის. რასაკვირველია თელავსაც დაეტყო გამოცოცხლება, ახმაურდა ქალაქის გაქუცული ბაღი, რომელიც მტვრითა და ღორღითაა სავსე, მაგრამ მაინც თაყვანისმცემელი ბევრი ჰყავს.

მართალია ყოველმხრივ სიმშვენიერით შემკული და ნამდვილი სასეირო-საგრილობელი ნადიკვარი ზედვე აკრავს თელავს, ახლოცაა და ამ ბოლო დროს მოაწყეს კიდეც საჩაიეთი და ცივი სასმელებით, მაგრამ გზაზე მდებარე ადგილები ცნობილ თელაველ კასების პიონერ როსტომაშვილის მეთაურობით ეზოებად გაიყიდა და ისეთი ოღრო-ჩოღრო და ვიწრო გზები დასტოვეს, რომ იქ სიარული უხერხულია უმთვარო ღამეს, მერე აქეთ მხარეს კურდღელაურის ნაწილი ეწოდება, არა თუ განათება არაა, არამედ თვით ქალაქში რომ დიდი ფარანი იდგა, რომელიც აქეთ გზებს ანათებდა, ისიც ძველ გალავანში გადაიტანეს ქალაქის მამებმა...

დიახ, მომსვლელთა წყალობით თელავს სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო, თუმცა ამ მომსვლელთ, უფრო კი მოსწავლე ახალგაზდობას, შინაარსიანი არაფერი შემოაქვთ, გარდა დროს გატარება-ქეიფისა და სეირნობა-ცეკვაობისა.

ეს სიკეთე, ხომ უიმათოთაც არ გვაკლია თელაველებს. მთელი ჩვენი ცხოვრება ამაში გამოიხატება. მაგრამ სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დაარსება-გამრავლებას ვერ დავიკვეხებთ; ორიოდე ასეთი საზოგადოება გვაბადია და მათაც ძლიერ მკრთლად ეტყობათ მოქმედების უნარი. ისევ საქეიფო ადგილები, ისევ სასმელი დუქნები... ამას კიდევ ჯანი გავარდეს, რომ ყველა ეს შუა ქალაქში, სასეირნო ბაღის გარშემო არ იყოს შემორტყმული.

თელავის კლუბიც მეტად მარჯვედაა, რომელიც... მაგრამ როცა კლუბზე ვიტყვით რასმეს, მეტად გვემდურებიან მამები, თითქოს განძრახ ვუკიჟინებდეთ, არ მოსწონთ, როცა ცხად ვყოფთ, რომ ყოველ ხუთშაბათობით ჩვენი ცოლები და დედები ლოტოზე ათენებენ, ქრმები—მწვანე მაუდს შეტრფიან, შვილები ბილიარდზე ვარჯიშობენ, არც ჩვენ ქალიშვილებს ივიწყებენ და იმათთვის ცეკვაობას ჰმართავენ ყოველ კვირა. ეს სეზონი უკვე დაიწყო...

ეს ძველი ამბავია, მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გარეშე მოსიარულეთათვის 1 მან. ძრიელ ბევრია, პატარებს ან მოზრდილ ქალებს მარტოებს ხომ არ გაჰგზავნიან და ყოველთვის 1 მ. გადახდა, ცოტა არ იყოს, საგრძნობელია.

საერთოდ კი უშინაარსო ცეკვის მოტრფიალენი არ გახლავართ, მაგრამ არ შემიძლიან წმ. ნინოს სასწავლებელი უყურადღებოდ დავტოვო. ყოველ წელს სწავლის ბოლოს, კურს დამთავრებულ ქალებს შინაურ მეჯლისს უმართავენ ხოლმე, რომლისთვინაც მოსწავლე ქალები სიხარულით ემზადებიან, იკერავენ ახალ ტანისამოსს და სხვა. წელსაც უკანასკნელი მეჯლისი უნდა ყოფილიყო პროგიმნაზიულ კურსგათავებულ ქალებისათვის, რომელთაგანაც შეიძლება ზოგი ველარ დარჩეს მეხუთე კლასში.

ქალები წინდაწინვე მოემზადნენ, შეიკერეს ახალი ტანისამოსი, გამოეწყნენ ყველაფერში და ორი დღის წინედ კი გამოეცხადებინათ: მეჯლისი აღარ იქნება, სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ნიკიტსკი ნებას არ იძლევაო.

ეს ძალიან კარგი, მაგრამ სასწავლებლის უფროსები მშობლების მდგომარეობაშიაც უნდა შედიოდნენ. ბევრმა მშობელმა ვალით და ვახშით მოამზადეს, რომ გულნაკლული არ დაეტოვებინათ თავიანთი ქალიშვილები, თითოს 20—25 მან. დაეხარჯებოდა (23 ქალმა გაათავა), წინდაწინვე რომ გამოეცხადებინათ, ეს ხარჯი თავიდან ასცდებოდათ.

**დავიწყებული.**

# ევროპა და მაროკო

**დეპეშები**

2 მკათათვე

**სან-სებასტიანი**. მეფე ორ საათს ესაუბრა მინისტრ პრეზიდენტს, გარეშე საქმეთა მინისტრს და ისპანიის პარიზელ ელჩს. მეფეს საქმის მდგომარეობა მოახსენეს. გარეშე საქმეთა მინისტრმა დაარწმუნა, ეს მდგომარეობა დამამშვიდებელიაო.

**ელკსარი**. 1 მკათათვეს ტანჟერში სურსათის ქარავანი მიდიოდა. ქარავანს სამხედრო ყარაულები ახლდა. ისპანელებმა ყარაულების იარაღის აყრა მოინდომეს. ყარაულები არ დასთანხმდნენ. ქარავანი იძულებული იყო ბუზას დაბრუნებულიყო ბანაკში.

**სან სებასტიანი**. მინისტრ-პრეზიდენტმა უარჰყო ის ცნობა, ვითომც გერმანიის კანონერ „პანტერიდან“ ჯუბის კონცხედან საქარის ნაპირზე ჯარი გადასულიყოს.

**გაზეთებიდან.**

როგორც საფრანგეთს, ისე გერმანიასა ჰყავს თავისი პარტია „აფრიკანელები“ ე. ი. აფრიკაში ახალი ადგილების შეძენის მომხრენი. ფრანგი აფრიკანელები უფრო თავდაჭერილად იქცევიან ვიდრე გერმანელები. ესენი ამბობენ, ჩვენ გერმანიაში ვიწროდა ვართ, მიწა გვაკლია, ახალი ბაზარი გვჭირიაო, ამიტომ ჩვენი კოლონიების გაფართოება საჭიროაო. რად გვინდა ძლიერი ჯარი, დიდი ფლოტი, რად გვინდა მილიონებად ღირებული შეიარაღება ჩვენი ჯარისა, თუ კი დიპლომატიურად მოსახერხებელი დროით არ ვისარგებლებთ და მაროკოს სამხრეთით სიმფლობელოს არ მოვიპოვებთო. ლიბერალ-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები ომის წინაამდეგნი არიან, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებს. გერმანელ აფრიკანელებს საახლეში ძლიერი და გავლენიანი პარტია ჰყავთ. მათ საფრანგეთთან მოლაპარაკება მოსასმენადაც კი არ უნდათ და თხოულობენ, რომ გერმანიამ აგადირში ჯარი დაუყონებლივ გადასხას და ზუსის ოლქი დაიჭიროს. მართალია, გერმანელი მემარცხენე გაზეთები ამბობენ, ჩვენ იქ არავითარი ინტერესები არა გვაქვს, ერთი კაციც კი არა გვყავს აგადირში დასაცავიო, თუ რამე ინტერესები გვაქვს ამ ადგილას, ისიც მხოლოდ მაგადორში, სადაც ყოველ წლივ ნახევარი მილიონის ვაჭრობა გვაქვს, ეს ისეთი მცირე რამეა, რომ მისი გულისათვის ომის ატეხა არც ჰღირსო, მაგრამ გამგონე არავინ არის. ერთ გერმანელ დიპლომატს უთქვამს, ეხლა შეიძლება სი[illegible] აღარ დავფაროო. ჩვენმა [illegible]მატიამ გაიმარჯვა და საფრანგეთი რამდენსაც უნდა ეცადოს ალჟეზირასის ხელშეკრულობას ველარ განაახლებსო. მკითხველს ეხსომება, რომ როცა ისპანიამ მაროკოში ჯარი გაგზავნა, მაშინვე ლაპარაკი დაიწყეს, მის ზურგთ უკან ვიღაცა იმალებაო, ეს ვიღაცა ხომ გერმანია გამოდგა. ეხლა იგივე დიპლომატს უთქვამს: როცა საფრანგეთმა მაროკოში ჯარი გაჰგზავნა, ისპანიას შეეშინდა და ჯარის გაგზავნა იმანაც მოინდომა, მაგრამ ჯერ გერმანიას შეეკითხა, რა აზრისა იქნება გერმანიის დიპლომატია, თუ ისპანია მაროკოში ჯარს გაჰგზავნისო. გერმანიას ამაზე ბრთხილად უპასუხნია, საწინააღმდეგო არა გვექნება რაო და ძალიან დიდი სიამოვნებითაც მიჰგებებია ისპანიის ამნაირ გამოსვლას. მართალია გადაჭრილი პასუხი არ მიუცია გერმანიას ისპანიისათვის, მაგრამ მაინც აგრძნობინა, რომ ისპანიის მოქმედება, მისთვის სასიამოვნო იქნებოდა. ასეთი საქციელი, რასაკვირველია, პატიოსნური არ არის, მაგრამ დიპლომატიაში პატიოსნება ვის გაუგია?!

როცა გერმანიამ აგადირში გემის გაგზავნა გადასწყვიტა, იმპერატორ ვილჰელმს მინისტრებისათვის უკითხავს, გერმანია მზად კი არის ყოველივე შემთხვევისათვისაო, ამაზე ასეთი პასუხი მიუღია: „დიახ“! ეს ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ გერმანიის ნამდვილი გუნება დაინახოთ. ზემოთ დასახელებულ პოლიტიკოსს უთქვამს, გერმანია ეცდება რუსეთსა და ინგლისს არ წაეჩხუბოს, მაგრამ საფრანგეთის ხარჯით აფრიკაში განავარდებას კი მოახერხებსო. ერთი სიტყვით, გერმანია ეცდება აწეწილ საქმეს იმას გამორჩეს, რის გამორჩენაც შესაძლებელი იქნებაო. მოახერხებს ამას გერმანია? ვინ იცის. რუსეთსა და ინგლისს გადაწყვეტილი აქვთ მხარი დაუჭირონ საფრანგეთს, ამას გარდა საქმეში ამერიკაც ერევა. მან განაცხადა, აგადირი პანამის არხს საბრთხედ გაუხდებაო.

# ალბანეთი, ოსმალეთი და ჩერნოგორია

**დეპეშები.**

2 მკათათვე.

**ხტამბოლი**. კათოლიკე ეპისკოპ. რომელიც მალისორებს არწმუნებდა

---

საც დაჰბადებდა ჩვენს შემეცნებაში, არამედ პირდაპირ გავიგებდით,—დედა ყრმა აკვანში ჩაუწვენიაო. ხოლო პირველ შემთხვევაში უნდა ხმარებულიყო ზმნა გაწევა და გვეთქვა: „ბუნება ადამიანს მამობას გაუწევს ხოლმე“-თქო.

ერთი ჩვენი უკვე სახელ მოხვეჭილი პოეტი სრულიად არა პოეტურის ენით გვიმასპინძლდება. მის ლექსებში ხშირია ასეთნი თქმანი: „ცრემლით გამოგზარდავ“ (გამოგზარდი-ს მაგიერ), „გვირგვინს თავს დაგადგავს“ (დაგადგამს-ის მაგიერ). ასეთ შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს ხოლმე: რამე ზმნის ფლექსიას წინ მ-ნია, თუ გ-ნი. თუ მ-ნია, სხვა და სხვა პირებში გ ნად არ გადავა და თუ, პირიქით, გ-ნია, პირებში მ-ნად არ გადავა. მაგ. ავიღოთ სახეზმნა ხურვა. ფლექსია ა-ნს წინ ზის ვ-ინი. მაშასადამე, პირებში იქ, სადაც-კი ეს ვ-ნი არ ილევა, მ-ნად არ გადავა. მაგ. გხურავ, ხურავ და სხ. ავიღოთ მეორე ზმნა დადგმა, რომელსაც საბოლოოს წინ მ-ნი აქვს. პირველი პირი იქნება: დავდგამ (და არა დავდგავ), დადგამ; დაგადგამ, დაადგამ, დაუდგავს და სხ. აღთქმა: აღვთქვამ (და არა აღვთქვავ), აღთქვამ და სხ.

საცა პოეტნი არა ცდილობენ წმინდათ ილაპარაკონ, უბრალო მამაკვდავნი ხომ უარესათ აიშვებენ თავს და აკი აიშვეს კიდეცა.

თორემ დაუგდეთ თქვენი ბედნიერი ყური, გაზეთის კორესპონდენტები რა ქართულით ელაპარაკებიან მკითხველთ. ამათთვის თითქო სულ არ არსებულა ლაპარაკისა და წერის რამე კანონიო. ნიმუშებს ორის კორესპონდენციითგან ამოვწერთ. ერთი ფოთიდგან არის მოწერილი, მეორე ბახმაროდან (გურიაში), ორივე კიდევ „სახ. გაზეთის“ ერთსა და იმასავე ნომერშია (294) დაბეჭდილი.

ბახმაროელი კორესპონდენტი აგვიწერს გურიის აგარაკ ბახმაროზე გამეფებულ უწესოებას და ბრძანებს: „სავაჭროები იცემა აუტანელ ფასებში“, „სახლი ქირით იცემა“-ო... ჰირონი არ უნდა მიჰკარებოდეს ამ სტრიქონების დამწერს!... თორემ რომელი მონათლული ქართველი დაამახინჯებს ასე ულმერთოთ თავისს დედანს და იტყვის „სავაჭროები იცემის“ იმ აზრით, ვითომ: სავაჭროებს აქირავებენ მსურველთაო?! იცემა წარმოსდგება ზმნა ცემა-საგან და არის ამ შემთხვევაში ვნებითი სახე მესამე პირისა და ნიშნავს: მავანი ვისმეს თავს აცემინებსო ან ვისმე მიერ ცემულიაო. პირველი პირი იქნება: ვიცემი, მეორე-იცემი, მესამე-იცემა. რა თქმა უნდა, კორესპონდენტს ცემის ან გალახვის აზრით არ უხმარნია ეს ზმნა, თორემ სავაჭროების შესახებ როგორ იტყოდა და სიტყვა ქირით-ს მაინც როგორ არ დაუმატებდა! უნდა ეთქვა: „სავაჭროებს მსურველ ქირით აძლევენ“, და ამ შემთხვევაში უნდა ეხმარა ამ აზრის გამომხატველი მოქმედებითი ზმნა გაცემა, რომელსაც ვნებითი სახეცა აქვს, და შეეძლო: სავაჭროები ქირით გაიცემა ხოლმე-თქო. იქმნება, იმას მოერიდა, რომ გაიცემა-ს მომავალ დროის მსგავსება აქვს და იმას კი აწმყოში უნდა ეხმარა. მაგრამ ამას არ უნდა დაებრკოლებინა, რადგან ამ ზმნას გარდა ბევრია ისეთი ზმნა აწმყო და მომავალი ერთნაირი რომ აქვს, მაგ. აღვსთქვამ, აღვწერ, აღვიარებ და სხ. იგივე ბახმაროელი კორესპონდენტი ბრძანებს: „გამგეობა (ბახმაროს აგარაკისა) ყოველწლობით იმუშავებს ნიხრს“. სრული უაზრობაა და სხვა არა რა. ცხადია, ავტორს უნდა ეთარგმნა რუსული ზმნა вырабатываетъ, რასაც ქართულად უდრის ზმნა შემუშავება, რომლის მრავალგზობითი სახე მესამე პირზე იქმნება: შეიმუშავებს ხოლმე. ხოლო იმუშავებს არის მომავალი დრო და მესამე პირი შემოქმედებითის ზმნის მუშაობა-სი: ვიმუშავებ, იმუშავებ, იმუშავებს.

ახლა ფოთელს კორესპონდენტს დავუგდოთ ყური. ფოთელი თავისს ბახმაროელ თანამეკალმეზე უფრო შორს მიდის. ეტყობა, ზმნა ცემა იმასაც ძალიან მოსწონს, რომ უიმისოთ ერთი ნაბიჯი ვერ გადაუდგამს: „თვითმმართველობა (ფოთის ქალაქისა) ქალაქის ადგილებს იჯარით სცემსო“. ბახმაროელი ქირით სცემდა სავაჭროებს, ფოთელს კი საცემ იარაღად ქირა გაუხდია. ბახმაროელმა თუ ვნებითი სახე იხმარა ზმნა ცემა-სი, ფოთელმა—მოქმედებითი. მხოლოთ დაავიწყდა, რომ ცემა შეიძლება მარტოოდენ სულიერის არსისა, უსულოსი კი არას გზით, თუ არ სურათოვან ლაპარაკსა და პოეზიაში. უნდა ეთქვა: თვითმმართველობა იჯარით იძლევა ან გასცემს ხოლმე ადგილებს-თქო.

კორესპონდენტი შიშობს: „მოიჯარადრეებმა ერთიმეორეს ცხვირპირი არ დაუმტვრიონო“. უნდა კი ეთქო: ერთმანეთს ცხვირპირი არ დაამტვრიონ“. დაუმტვრიონ გვიხატავს მტვრევის მოქმედებას მრავლობითის რიცხვის მესამე პირის მიერ რისამე უსულო საგნისას, რომელიც სხვა მესამე პირის კუთვნილებას შეადგენს და ამ უკანასკნელის სხეულს გარეშეა. ადამიანის სხეულის ნაწილები კი, როგორც ცხვირი, ზედ ტანზეა. მაშასადამე იგულისხმება, რომ ეს ნაწილები შეიძლება ზედ სხეულზე დაამტვრიონ ვისმე. ამიტომ ვინმე რომ ჩემი ყურები მჭრელ რითიმე იარაღით ჩემს თავს მოაშოროს, უნდა ვთქვა: მავანმა ყურები დამაჭრა-მეთქი. ცხვირის შესახებაც უნდა ვთქვა: ცხვირი დამამტვრია მეთქი.

ბეჩავი კორესპონდენტი თანაც ემუქრება ქალ. ფოთის თავგასულ თვითმართველობას: „არ შეგვიძლიან ბაგესა ჩვენსა სასო დაუცვათო“. მოდი და გ იგე, რის თქმა ენება ბ ნს კორესპონდენტს?! ჯერ ერთი, თუ პირის ნაწილის ბაგე-ს შესახებ ლაპარაკობს, უნდა ბრძანოს ბაგენი, რადგან ადამიანის პირს ბაგე ორი აქვს და ლაპარაკის დროს ორივე მოძრაობს ხოლმე; მეორე კიდევ ისა, რომ სასო ქართულად იმედსა ნიშნავს და ბაგეებთან არავითარი დამოკიდებულება აქვს. — თავს ძალა უნდა დაატანოთ, მიხვდეთ, რომ აქ ავტორს სასა უნდა ეთქვა, ადამიანის ყელის ნაწილი. ეს კიდევ არაფერი. ამბობს: დაუცვათო. ვერ გაგვიგია: ეს სასა ვინ უნდა დაუცვას (თუ დაიცოს): ავტორმა, თვითმართველობას რომ ემუქრება, თუ თქვენა მკითხველთ? თუ თქვენ უნდა დაუცოთ, ავტორი რადა შუაშია, წინდაწინვე რომ აცხადებს, არ შეიძლიან დუმილიო, თუ სასის დაცმას (?) სხვას დააკისრებდა! ცხადია, ავტორი თავის თავზე ლაპარაკობს, მხოლოდ დავიწყებია: ერთი, ერთადერთი ვ-ნი ჩაემატებია სიტყვა დაუცვათ-ისათვის და ეთქვა: დავუცვათ (ჩვენ, ე. ი. ავტორმა) თქო.

ასე თავდება ეს მიდჭრელი წერილი: „ჩვენს შენიშვნასაც იგივე ბედი არ ეწვევა“. თითქო მისი საგაზეთო წერილი წვეულებას რასმე მართავდეს! ცხადია, წვევა (დაპატიჟება, მოხმობა, ვისთანმე მისვლა) და მერე ამისი მიმსგავსებული ზმნა წევა (რისამე გაწევნა, მოწევნა, მოზიდვა) ერთმანერთისაგან ვერ გაურჩევია გაზეთის მოამბეს. სტუმრის შესახებ ვამბობთ ხოლმე: მეწვევა, ეწვევა (ის იმას). ხოლო როცა ბედის შესახება გვაქვს ლაპარაკი, ვგულისხმობთ, რომ ბედი ჩვენს გარეშეა და მოგვდევს მოწევნად: ამ ზმნის ნამყო უსრული დრო გაუთავებლის სახისა იქმნება: მეწია, გეწია, ეწია (მეწევა, ეწევა კიდევ სხვა არის, სახელდობ: მეხმარება, მშველისო). მაშასადამე, ჩვენს მოამბეს უნდა ეთქვა: „თუ იგივე ბედი არ ეწია“-თქო.

ჩვენი ექიმებიც ძალიან მწყრალათ ბრძანდებიან ქართულ ენაზე. გაზეთში დაბეჭდილ განცხადების საშუალებით საზოგადოებას აუწყებენ ხოლმე: მავანი ექიმი „იღებს ავათმყოფს“... იღებს წარმოებული ზმნაა აღება-საგან. ხოლო აღება, როგორც ვიცით, შეიძლება მარტოოდენ უსულო რისამე საგნისა: ფულისა, საჩუქრისა, საჭმელ-სასმელისა და სხ. ენის უკანონობას რომ თავი დავანებოთ კიდეც, მოუხერხებლათ მიგვაჩნია აღება ავათმყოფისა. განა შეიძლება ქალს ვუთხრათ; ბავშვი აიღეო!?.. აღება-სბადალი ზმნა სულიერ არსთათვის არის აყვანა. მაგრამ გასაჭირისაგან ამ შემთხვევაში უფრო მეორე ზმნა გამოგვიყვანს: შინჯვა, გაშინჯვა. და ყველასათვის გასაგები უნდა იქმნეს ასეთი ფრასა: „მავანი ექიმი გაშინჯავს ხოლმე ავათმყოფებს“, ვიდრე რუსულ принимаетъ ისაგან უშნოთ გადმოღებული „იღებს“.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აღვნიშნოთ ის უხამსობაც, ჩვენს ენაში ფეხი რომ მოიკიდა და ლამის კანონიერ შვილად გაუხდეს. არ ვერიდებით ასეთის ქართულით ლაპარაკს: „სტუმარი მივიღე“, „მავანი მოხელე არავის დებულობსო“. როგორც ზევითაცა ვთქვით, სულიერ საგნის აღება არ შეიძლება. სულიერ და უსულო საგანთა მოქმედება-მდგომარეობის აღსანიშნავათ ქართულათ შესაფერი ზმნები გვაქვს. ხომ არ ვიტყვით (ჯერ, თორემ რუსულის ენის გადამკიდენი ამასაც მალე მოვესწრებით) ბავშვი წაიღე, არამედ წაიყვანეო, რადგან წაღება შეიძლება, ავეჯისა, საზოგადოთ უსულო საგნისა რისამე. რუსული ენა არ გამოსდგომია, ქართულის მსგავსათ, საზღვარი დაედო უსულო და სულიერ საგანთა შორის და მისთვის სულ ერთია, სულიერ არსების წაღებას იტყვის თუ წაყვანას ორივე კი ზმნა возьми იხმაროს. სტუმრისა და საზოგადოთ გარედან მომსვლელის ადამიანის შესახებ ქართველ კაცს, რაც თავი შეუსწავლია, უთქვამს ხოლმე: დახვედრა, მიგებება, მირქმა. ამიტომ რუსების უ-

მთავრობას დაჰმორჩილდითო, პორტას დეპეშით შეატყობინა, სკუტარს ვბრუნდები, რაკი ვერაფერს გავხდიო.

ეხმედ-ფაშა, თურღუთ-ფაშას ჯარის მარჯვენა ფრთის მეთაური, რამდენიმე ადიუტანტის თანხლებით დიაკოვოს მიდამოებში დასეირნობდა. ამ დროს ჩასაფრებულმა ალბანელებმა მას სროლა აუტეხეს. ეხმედ-ფაშა ხელში მძიმედ დაიჭრა ასევე დაიჭრა ფეხში მისი ადიუტანტი.

**ბერლინი.** „ნორდ-დეიჩე-ალგემეინე-ცეიტუნგ"-ი ამბობს, ალბანეთში მორიგების იმედი წახდა, რადგანაც ალბანელები ისეთ მოთხოვნილებებს ადგენენ, რომელთა შესრულება შეუძლებელიაო.

**გაზეთებიდან.**

ბოლო დრომდის ალბანეთის მდგომარეობა ძალიან გამოურკვეველია. ასეთი მდგომარეობა ამნისტიის ვადის გადიდებამ უფრო გაამწვავა, მალისორები არა ჰნებდებიან. თურღუთ-ფაშა სცდილობს ამ დროით ისარგებლოს და მდ. ციეკაზე თავის ჯარი უფრო მოსახერხებლად დააყენოს. დროს გაგრძელებით კი შეიძლება, რომ ჩერნოგორიასთან ოსმალებს დიდი შეტაკება მოუხდეთ. ამას კი თურღუთ-ფაშა, თუმცა განგებ, მაგრამ მაინც ერიდება. ასეთი მდგომარეობა საქმეს ძალიან ამწვავებს, ცუდ დღეში აყენებს მეტადრე ჩერნოგორიას; იგი ეკონომიურად დიდად დასუსტდა, ვაჭრობა შეფერხდა და ეს კი საქმეს ძალიან გაართულებს.

ჩერნოგორიის პრემიერ მინისტრი, რომელიც დიდი ხნით იყო სამსახურიდან დათხოვნილი, ამ დღეებში ერთბაშად დაბრუნდა ცეტინიეში და მაშინვე თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა. ამბობენ, ტომანოვიჩის დაბრუნება საქმის ახლანდელ მდგომარეობამ გამოიწვიაო.

ვენელ დიპლომატებში ასეთი აზრი გავრცელებულა: ახალგაზდა ოსმალები ჰხედავენ, რომ თუ ალბანელებმა გაიმარჯვეს, მათი ნაციონალური იდეია ჩაიფუშება და ამიტომ სცდილობენ, რომ მალისორებთან მოლაპარაკებას ხელი შეუშალონო. თუმცა საკვირველია, მაგრამ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ის ნაწილი, რომელიც ომის მომხრეა, მეფე ნიკოლოოზის ტაქტიკას ადგას. ეს ნაწილი კომიტეტისა ძლიერია და ომიც ადვილად შეიძლება მოხდესო.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მკათათვე.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** დემონსტრაციის დროს 15 პოლიციელი დაიჭრა. ტელეფონის მავთულები ბევრგან დასწყვიტეს. გზაზე მატარებლის გადაბრუნებასა სცდილობდნენ.

**ვაშინგტონი.** რაკი სამხრეთ ამერიკაში რევოლუციაა, რომელიც ამერიკის ინტერესებს ემუქრება, გაიტის კონცხთან კანონერკა „პარტელი" გაიგზავნა.

**ლონდონი.** „სტანდარდტ"-ს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, კაბინეთი გადადგაო. მთელ სპარსეთში ანარქიაა, ქუჩებში სიარული საშიშია, შირაზიდან და ქერმანშახიდან იტყობინებიან ქუჩებში სისხლის ღვრაო.

**ოტტავა.** უკანასკნელი ცნობებით გამოირკვა, რომ ტყის ცეცხლმა საშინელი უბედურება დაატრიალა. ხალხმა ბევრგან რამდენიმე დღე წყალში გაატარა. სცდილობდა რომ არ დამხრჩვალიყო, მაგრამ წყალმა მაინც ბევრი წაიღო. ბევრგან დანახშირებული გვამები ჰყრია. ბევრია დამავებული.

**ლიმა.** არეულობა მოხდა. ემინიანთ, რომ არეულობა რევოლუციად არ იქცეს. პარლამენტის უმრავლესობამ მთავრობას პოლიტიკა დაუწუნა.

**ურმია.** შეიხ აბდულ-ქადირას ბრძანებით დაატუსადეს ყაჩაღი ხაკო-ბეი, რომელსაც ქალაქის მიდამოები შიშში ჰყავდა. დატუსადების მიზეზი ის არის, რომ ყაჩაღმა ოსმალეთის ჟანდარმი მოჰკლა.

**ვენა.** გაზეთების სიტყვით, სპარსეთის ყოფილ შაჰს 2 ცოლით და თავის ქალ-ვაჟით 19 მარტამდის ბადენში უცხოვრია, ხალილას სახელით. ნამდვილი ეხლა მარიენბადში ყოფილა.

3 მკათათვე.

**თეირანი.** საპეხდარმა მინისტრობას თავი სამუდამოდ დაანება. რეგენტს მეჯლისთან ახალ სამინისტროს შედგენაზე მოლაპარაკება აქვს გამართული. მეჯლისი ყველა მინისტრებს თითონ დანიშნავს.

**ნიუ-იორკი.** ბუენოსში ამ უკანასკნელ შეტაკებათა დროს 135 კაცი მოკლდა. საქსონ-ქარხნების გაფიცული მუშები კერძო სახლებს იცლებენ.

## რ უ ს ე თ ი.

2 ივლისი.

**ომსკი.** გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა კრება მწავლებელთა წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ზომები შეიმუშავეს.

**კურსკი.** ბელგოროდის მიდამოებში აღმოაჩინეს უზარ-მაზარი მამონტის ჩონჩხები.

**სმოლენსკი.** პორეჩენსკის ერობამ დაარსა სამი სტიპენდია საშუალო სასწავლებელში გლეხთა შვილებისათვის პატონ-ყმობის გადავარდნის 50 წლის სახსოვრად.

**ცარიცინი.** პირველად თავი იჩინა ხოლერამ.

**ვოლოგდა.** კადნიკოვის ოლქში შავი ჭირი ვრცელდება. გაიგზავნა კი დევ 4 ფელშერი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანად პროექტი სადამიყნო წესისა საზღვარგარეთელ ნივთებისა.

**პეტერბურგი.** ჱმინისტრთა საბჭომ მოიწონა ახალი წესი მუსულმანთა რუსეთიდან სათათრეთის ქვეშევრდომად გადასვლისა, იმ პირობებით, რომ ჯერ უთუოდ რუსეთიდან უნდა გამოიწერან და შემდეგში დაბრუნების უფლება არ ექნებათ.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოება დახურეს.

**იალტა.** ხეხოვის სიკვდილის შვიდი წლის თავზე ბერძნების ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს.

**ოდესა.** დასრულდა გამოძიება 279 ყაზახის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ ნოვოჩერკასკში 1910 წ. არეულობაში მონაწილეობა.

3 ივლისი.

**ლიუბლინი.** შიშკაში შეტაკება მოხდა სლავენცთა და გერმანელებთა; გამოწვეულია ეგ იმით, რომ უპირატესობა მიუნიჭებიათ გერმანელი კავშირის სკოლების მოწაფეთათვის ეკლესიის კურთხევის დროს. რამდენიმე დაატუსადეს.

მინსკში, გრაფი პოტოცკის მამულში გლეხებმა დამე წისქვილი დაანგრიეს. ამ წისქვილისათვის დაგუბებული წყალი გლეხების მინდვრებზე ცადადიოდა და აფუჭებდა. გამოძიება სწარმოებს.

მაძიებელმა პოლიციამ კურსკში დაატუსადა ქალებით მოვაჭრე მოღვანოვი. მოღვანოვს რამდენიმე პასპორტი უპოვეს. ეს პასპორტები იმ ქალებს ეკუთვნით, რომლებიც მას შესავათ სახლებისათვის მიუყიდნია.

ასეთივე მოვაჭრენი დაატუსადეს რიგაში. მოვაჭრენი ორნი იყვნენ და დაპატიანად ეცვათ. დაატუსადეს აგრეთვე მთელი ორბი, რომელიც რუსეთის შიდა გუბერნიებში ქალებს ეზიდებოდა გასასყიდად.

სახელმწიფოს ღალატისათვის სამართალში მისცეს შტაბს-კაპიტანი პოსტნიკოვი. მას უცხო სახელმწიფოს აგენტისათვის ისეთი ცნობები გადაუცია, რომელიც საიდუმლოებას შეადგენდა.


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და. საბავშვო.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზალბერშაცი:** 6—7 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. გარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1168—73)

მუხრანის ქუჩაზე

## სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Циціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.
**ნ. მ. ახპიხოვი**—(მედ. ექ.), ყური საცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
**გ. ა. ახვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.
**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
**კ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
**ბ. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.
**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—100)

გამოვიდა და ისყიდება
ფრინკელის ახალი წიგნი
**„ყაჩაღი ტატო წულუკიძე"**
თარგმანი ვლ. თორელისა. ფასი 35 კაპ., კარგ ქაღალდზე 40 კ. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი კი იმყოფება г. Тифлисъ, Книжный магазинъ „Новая Жизнь", Л. М. Карапетяна, Михайловскій пр. № 36. (წიგნშია 180 გვ., 3 სურათით). (9—711—1)

◀ მშობიარეთათვის ▶
## თავშესაფარი
## ბებია-ქალის
## თუხარელისა.
ოლგას ქ., ბაბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.
მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.
(თ.—1083—58)

ვ უ რ ჩ ე ვ თ
## ბრინჯის ჰიგიენურ
## ●პუდრთა მეფეს●
La Reine des poudres
სამ ფერისა (თეთრი, ვარდის ფერი, რაშელი).
—◀ 1900 წ. პარიზის ოქროს მედალი ▶—
პატარა კოლოფი 30 კაპ., დიდი კოლოფი 50 კაპ.
„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".
მთავარი საწყობი:
ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.
(11—1295—2)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
## იყიდება შემდეგი წიგნები:
**ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.
**B â t o n-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.
**ვ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.
ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
## ● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
## ✦ ახალ-ახალი ✦
## ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
## ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ. დან 2 მან. 40 კ.-დე.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიტ 50 კ.
აგრე [illegible] იღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)

## გაფრთხილება
## ვინც იტანჯება
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, კლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელა რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა"** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უძლვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦
органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
## აცვალეთ მყოფებს
(Метцль и К-о. № 54437.) (12—1261—7)


რება ჩვენ ხელს არ მოგვცემს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსთ თავიანთი **принимать**; ჩვენ როგორც დასაბამითგან გვიწირავს, ისე ვწიროთ და ვთქვათ: სტუმარს დავხვდებით, დავუხვდით, მივეგებეთ, სტუმარი მივირქვით; ამა და ამ კანცელარიაში თხოვნებს მიიღებენ ხოლმე, ხოლო მთხოვნელებს შეუშვებენ, გინა მოუსმენენ ამა და ამ მოხელის ნახვა შეიძლება თქო.

ლაპარაკსა და წერაში ორ აზროვანებავე გამოდის შემდეგის ზმნების ერთიმეორის მაგივრათ ხმარების დროს. ესენი არიან: უმეშავობითი ზმნა ყოფნა (არსებო?ა) და ვნებითის სახის ზმნა ყოფვა (დანაწილება რისამე). პირველის ზმნის აწმყო დრო იქმნება: ვიმყოფები, ხოლო მეორისა—ვიყოფვი ანუ ვიყოფები. პირველი ნიშნავს, რომ ვარ სადმე, ქვეყნათ განსაზღვრული სივრცე მიჭირავსო, მეორე კი გვიჩვენებს—სხეული ჩემი რამდენადმე ნაწილად იყოფაო. დიდი და ძირითადი განსხვავებათა ამ ორს მდგომარეობას შორის გარნა ჩვენ ხან პირველ ზმნის ბადლად მეორესა ვხმარობთ, ხანაც მეორის ბადლად პირველსა, რომელიც უფრო ადრე მოგვაგონდება, და ვამბობთ ვიმყოფები-ს იქ, სადაც უნდა ვთქვათ—ვიყოფები, და ვივიწყებთ, რომ მ-ნის გამოშვება თუ ჩართვა ძირიანათ ცვლის ხსენებულ ზმნათა ხასიათსა და მნიშვნელობასა. აი მაგალითები როგორც ერთისა, ისე მეორის ხმარებისა: „ცხრა იყოფება სამად"; „ზაფხულში ვიმყოფებით სოფლათ".

აქ არას ვამბობთ ჩვენის ზმნების სხვა ფორმების, როგორც მაგ. სხმით გადასვლითი-ს (ვამეიებინებ) და მრჩობლსხმით გადასვლითი-ს (ვაშენებინებინებ). პირველს ჯერ კიდევ ასე თუ ისე სისწორითა ვხმარობთ, მეორეს კი გრამატიკებში თუ და შევხვდებით. ისე კი აპასში ერთხელ თუ იხმარს ვინმე. მისი მნიშვნელობა, საცაა, სულ დაგვავიწყდება.

რუსულითგან თარგმნა ფრასებისა ძალიან იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობასა და ლაპარაკში. ამის მიზეზია, რა თქმა უნდა, ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართველი, რუსულ წიგნებზე აღზრდილი, რუსულათ ფიქრობს, უმეტეს წილათ რუსულათ ლაპარაკობს და რა გასაკვირველია, ქართულიც რუსულათ იფიქროს! ასეა თუ ისე, ეს ჩვენი ენა კი დაგვისახიჩრდა! თან და თან დავეჩვიეთ ფრასები რუსულითგან ვთარგმნოთ ხოლმე და მერე როგორა ვთარგმნით! ოღონდ კი მივამსგავსოთ როგორმე სიტყვები და იმას არ დავდევთ, ეს ახლათ შემოპარული სიტყვები და ფრასები ჩვენის ენის ბუნებას შეეგუება თუ არა. ხანდისხან ცოტათი რომ მოვიქექდეთ თავს, ცოტათიც არის დავფიქრდებოდეთ, საკუთარ ფრაზებსაც აღმოვაჩენთ ჩვენის აზრის გამოსათქმელად. მაგრამ ფიქრი არ უნდა!? რაც მოგვადგება ენის წვერზე, წამოვისრით ხოლმე. ჩვენს წამონასროლს ბრმათ, გაუშინჯავათ მეორე განიმეორებს, შემდეგ მესამე. და მერე წავა და წავა... ახალი უჯერო შვილი ემატება ჩვენს ენასა!..

აი ასეთის ქაჯურის თარგმანის ნიმუშებიცა. დაგვჭირდა გამოგვეთქვა ქართულათ რუსული „меня приводитъ въ восторгъ", არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ, სიტყვა-სიტყვით გადმოვაჯაგლაგეთ: აღტაცებაში მომიყვანაო ან მიიყვანაო! და ამ უხამსობას ყური ისე შევაჩვიეთ, რომ აღარც კი ვგრძნობთ, თუ რამდენათ უცხვირპირო თქმა რამ არის ეს „აღტაცებაში მოუყვანია!.." კბილი გავუსინჯოთ ამ ფრასას, რათა ნათლათ ვსცნათ გაუკუღმართება ენისა. უწინარეს ყოვლისა „აღტაცებაში მომიყვანა" გრამატიკულათ უსწორო თქმაა: აღტაცებაში მიცემითი ბრუნვაა, მომიყვანა კი ნიშნავს, ვითომ რამე საგანმა (სულიერმა თუ უსულომ) მომიყვანა, მომგვარა რამე, ჩემთვის, როგორც მაგალ. სახლში ვინმე ხარი მომიყვანოს ან ძროხა. ასეთი ზმნა როცა შესმენილადაა წინადადებაში, უსათუოთ დამატებასა თხოულობს: რა მომიყვანა? და ეს დამატება-კი ზემოაღნიშნულ ფრაზაში აღარსად არის. რომ ვამბობდეთ: მე მიმიყვანა აღტაცებაშიო, კიდევ ჰო, ასე იქნებოდა, თუ ისე ადამიანი შეურიგდებოდა ამ ურიგობას, თუმცა უნდა ვთქვათ გამოტეხილათ, არც მაშინ იქმნებოდა დიდი რამ ბედენა ეს ფრაზა. ღვთით, არც ისე გაგვჭირებია საქმე, რომ ასეთი სადა აზრი ვერ გამოვთქვათ საკუთარის ღონისძიებით. ღმერთი ხომ არ გვიწყენს, ასე რომ ვთქვათ: აღმტაცის შინაარსისაა (წიგნი), აღმტაცის სილამაზისაა (მანდილოსანი), აღმიტაცა მავანის გალობამ, გინა სათნო ქცევამ, მომხიბლა, აღტაცებულ ვიქმენ, ან კიდევ: ცათა ფრენა შემიყენა, ცათ აღმაფრ.ნა, ფრიად გამახარა, ან რაიცა ყველას ემჯობინება, მივბაძოთ ჩვენს უკვდავს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს და ვთქვათ მის მსგავსათ: „აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა (სანატრელი) და აღმიგზნებს იმედს გულში (იხ. ლექსი ბატონ-ყმობის გადავარდნის დროისა)!—რაკი ამ დამახინჯებულ ფრასის ხმარებას გადავეჩვიეთ, ბარემ ნურც იმას ვიტყვით ხოლმე: „აფრთოვანებაში მომიყვანაო", არამედ ვთქვათ: აღმაფრთოვანა რამე სიმშვენიერემ; აღმაფრთოვანებს ხოლმე სიყვარული სამშობლოისა, და ბევრი სხ.

თ. სახოკია.

(შემდეგი იქნება)